ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 20

----4--- მაისი 2015 წელი

ქ. ქობულეთი

გამარტივებული შესყიდვის განხორციელების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (მე-3 მუხლი, 1-ლი პუნქტი, ს[1] ქვეპუნქტი), სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ'' (მე-3 მუხლი) შესაბამისად, ერთის მხრივ ა(ა)იპ ,,ქობულეთის გამწვანება'', (ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი #141) დირექტორის ვახტანგ ნემსაძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ ი/მ ,,კახაბერ ვასაძე'' (ქალაქ ქობულეთი, თავისუფლების ქ.#26ვ) წარმოდგენილი კახაბერ ვასაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), ვდებთ ხელშეკრულებას „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (კოდი 14300000 – ქიმიკატები და სასუქი მინერალები) ა(ა)იპ ,,ქობულეთის გამწვანების'' საჭიროებისათვის კომბინირებული სასუქისა და შესაწამლი ქიმიკატების შესყიდვაზე, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოთ აღნიშნული საქონელი შემდეგ თანხაზე: 1605 (ათასექვსასხუთი) ლარი (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი“–ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ ,,ქობულეთის გამწვანების'' საჭიროებისათვის კომბინირებული სასუქისა და შესაწამლი ქიმიკატების შესყიდვა (შემდგომში „საქონელი“) თანახმად თანდართული დანართისა.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1605 (ათასექვსასხუთი) ლარი.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისაწოდებელი საქონელის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, რომლის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდებულ საქონელზე შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.
4.3. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
4.4. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული „მიმწოდებელი"–ს საბანკო რეკვიზიტებზე.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მიწოდებულ საქონელზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2 საქონლის მიღება ჩაბარებას ახორციელებს უფლებამოსილი პირი, კერძოდ: ა(ა)იპ ,,ქობულეთის გამწვანების'' სახელით სპეციალისტი შესყიდვების საკითხებში (ჯ.მჟავანაძე).
5.3 მიწოდებული საქონელის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
5.6 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონელის და წუნდების მიზეზის მითითებით.

6. საქონელის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1 საქონელის მიწოდების ადგილად განისაზღვრება ქალაქ ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა.
6.2 საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 15 ივნისის ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მოწოდებული საქონელის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მოწოდებული საქონელის ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაოდენობის შესაბამისად საქონელის მიწოდება.

8.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს ა(ა)იპ ,,ქობულეთის გამწვანების'' სპეციალისტი შესყიდვების საკითხებში (ჯ.მჟავანაძე).
8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მოწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.
9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.5. მხარე ვალდებულია 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 15 ივლისის ჩათვლით.

14. „შემსყიდველი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

14.1 „შემსყიდველი"–ს მისამართი: ქალაქ ქობულეთი, დ.აღმაშენებლის გამზირი #141;
14.2 „შემსყიდველი"–ს საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ლიბერთი ბანკი"–ს ქობულეთის ფილიალი, ბანკის კოდი **LBRTGE22**, ა/ა **GE**12**LBO**115157927022000,
საიდენტიფიკაციო კოდი **247009062;**
14.3 „შემსყიდველი" – ა(ა)იპ ,,ქობულეთის გამწვანება".

15. „მიმწოდებელი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

15.1 „მიმწოდებელი"–ს მისამართი: ქობულეთი, სოფელი ალამბარი;
ფაქტიური მისამართი: ქ.ქობულეთი, თავისუფლების ქ.#26ვ;
15.2 „მიმწოდებელი"–ს საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ლიბერთი ბანკი", ბანკის კოდი **LBRTGE22**, ა/ა **GE06LB**011211597852700,საიდენტიფიკაციო კოდი **61004022661**
15.3 „მიმწოდებელი"– ი/მ ,,კახაბერ ვასაძე"

„შემსყიდველი" – ა(ა)იპ ,,ქობულეთის გამწვანება"

ა(ა)იპ ,,ქობულეთის გამწვანების"
დირექტორი ვახტანგ ნემსაძე

„მიმწოდებელი" – ი/მ ,,კახაბერ ვასაძე"

კახაბერ ვასაძე

დანართი
კოდი 14300000

№	საქონელის დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარში)	თანხა
1	ნპკ 16–16–16 (კომბინირებული სასუქი)	კილოგრამი	900	1,20	1080,00
2	ურაგანი (შესაწამლი ქიმიკატი)	ლიტრი	15	35,00	525,00
	სულ:				1605,00

მიმწოდებელი ი/მ ,,კახაბერ ვასაძე''

კახაბერ ვასაძე